United National Movement
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

№ 02/1098

26 09 2008

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით ბაქრაძეს

პ ე ტ ი ც ი ა

საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა არამარტო ქვეყნის შიგნით არამედ ზოგადად მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა მხრიდან.

მოვლენების განვითარების სწრაფმა დინამიურობამ, რიგ შემთხვევებში გაართულა საზოგადოების მიერ ზემოაღნიშნული მოვლენების ანალიზისა და ადექვატური აღქმის შესაძლებლობა. საზოგადოებაში გაჩნდა უამრავი შეკითხვა, რომლებიც საჭიროებს დროულ და არგუმენტირებულ პასუხებს. აღნიშნული საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ, მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების უკიდურესად მწვავე დამოკიდებულებისა, რუსულ აგრესია კვლავ გრძელდება და ინარჩუნებს საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის უკიდურასად საშიშ ხასიათს. ამდენად შემდგომი საფრთხეების პრევენციის მიზნით აუცილებელია მოხდეს აგვისტოში განვითარებული მოვლენების დეტალური ანალიზი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 203-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, აღნიშნული საკითხი შესწავლილ იქნას საქართველოს პარლამენტის მიერ.

ზურაბ მელიქიშვილი
გენერალური მდივანი

ქ. თბილისი, ლესია უკრაინკას ქ. №1
ტელეფონი: 923084, 923085
ფაქსი: 923091
e-mail: info@unm.ge

26.09.08